როგორ შეუძლიათ ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებსა და თანასწორობის ეროვნულ ორგანოებს თანამშრომლობა სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტთან

European Social Charter | Charte sociale européenne

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

როგორ შეუძლიათ ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებსა და თანასწორობის ეროვნულ ორგანოებს თანამშრომლობა სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტთან

ევროპის საბჭო

ინგლისურენოვანი გამოცემა:

How can National Human Rights Institutions and National Equality Bodies engage with the European Committee of Social Rights

ამ ნაშრომში მოსაზრებები გამოთქმულია ავტორ(ებ)ის პასუხისმგებლობით და არ უნდა აღვიქვათ ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოლიტიკად.

ამონარიდების რეპროდუცირება (500-მდე სიტყვა) ნებადართულია მხოლოდ არაკომერციული მიზნებით, იმ პირობით, რომ დაცული იქნება ტექსტის მთლიანობა, ამონარიდი არ გამოიყენება კონტექსტიდან მოწყვეტილად, არ წარმოგვიდგენს არასრულ ინფორმაციას, ან სხვაგვარად არ შეიყვანს მკითხველს შეცდომაში ტექსტის ბუნებასთან, ფარგლებსა ან შინაარსთან მიმართებით. წყარო ტექსტი ყოველთვის უნდა მიეთითოს შემდეგნაირად: „© ევროპის საბჭო, პუბლიკაციის წელი“. ყველა სხვა თხოვნა დოკუმენტის მთლიანად ან ნაწილობრივ გამოქვეყნებაზე/ თარგმნაზე უნდა წარედგინოს ევროპის საბჭოს კომუნიკაციის დირექტორატს (F-67075 სტრასბურგი Cedex ან publishing@coe.int). ყველა სხვა კორესპონდენცია დოკუმენტთან დაკავშირებით უნდა წარედგინოს სოციალური უფლებების დეპარტამენტს, DGI, ევროპის საბჭო, F-67075 სტრასბურგი Cedex ან social.charter@coe.int.

ყდა და დიზაინი: დოკუმენტების წარმოებისა და პუბლიკაციების დეპარტამენტი (SPDP), ევროპის საბჭო,

ფოტო: Shutterstock.

წინამდებარე პუბლიკაციას არ გაუვლია რედაქტირება SPDP-ის სარედაქციო განყოფილებაში, ტიპოგრაფიული ან გრამატიკული შეცდომების გასასწორებლად.

პუბლიკაციის თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს პროექტის „სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში.

© ევროპის საბჭო, 2022 წლის მაისი.

დაგვიკავშირდით:

სოციალური უფლებების დეპარტამენტი

ადამიანის უფლებათა და სამართლის უზენაესობის დეპარტამენტი

Council of Europe

1 quai Jacoutot, F-67075 ,

Strasbourg Cedex

ელფოსტა: social.charter@coe.int

სარჩევი

წინასიტყვაობა 5

რა არის ევროპის სოციალური ქარტია 7

მოკლე მიმოხილვა 7

ორი ხელშეკრულება 8

სახელმწიფოზე მორგებული სისტემა 9

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი 9

კოლექტიური საჩივრების პროცედურა 11

რა არის კოლექტიური საჩივრების პროცედურა? 11

როგორ მუშაობს კოლექტიური საჩივრების პროცედურა? 12

რომელ ორგანიზაციებს შეუძლიათ საჩივრების წარდგენა სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტში? 14

როგორ წარადგენს ორგანიზაცია საჩივარს სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტში? 15

როგორ შეუძლიათ ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებსა და თანასწორობის ეროვნულ ორგანოებს წვლილის შეტანა კოლექტიური საჩივრების პროცედურაში? 17

ანგარიშგების პროცედურა 18

რა არის ანგარიშგების პროცედურა? 18

როგორ მუშაობს ანგარიშგების პროცედურა? 18

რომელ ორგანიზაციებს შეუძლიათ კომენტარებისა და ინფორმაციის წარდგენა ეროვნულ ანგარიშებზე? 21

როგორ წარადგენენ ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები და თანასწორობის ეროვნული ორგანოები კომენტარებსა და ინფორმაციას ეროვნულ ანგარიშებზე? 22

სად შეიძლება სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის გადაწყვეტილებებისა და დასკვნების მოძიება? 25

რატომ უნდა ითანამშრომლოთ სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტთან? 27

დანართი: ევროპის სოციალური ქარტიის ხელმოწერები და რატიფიკაციები 29

Henrik KRISTESEN
Deputy Executive
Secretary

წინასიტყვაობა

ძლიერი პარტნიორობა ევროპაში სოციალურ უფლებათა დაცვის ხელშესაწყობად

ძლიერი, დამოუკიდებელი და ქმედითი ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები (NHRIs) და თანასწორობის ეროვნული ორგანოები (NEBs) კარგად ფუნქციონირებადი დემოკრატიული საზოგადოებების აუცილებელი მახასიათებელია. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ევროპაში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით სარგებლობაში; მონიტორინგს უწევენ ამ უფლებების კუთხით არსებულ მდგომარეობას; მთავრობებს აწვდიან რჩევებს მოწყვლად ჯგუფებზე პოლიტიკის პოტენციური გავლენის შესახებ; და ანგარიშებს წარუდგენენ პარლამენტებსა თუ საერთაშორისო/რეგიონულ ორგანოებს. ინფორმირების გზით და მედიასთან თანამშრომლობით, ისინი ამაღლებენ საზოგადოების ცნობიერებას ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე და ხელს უწყობენ თანასწორობის, ადამიანის უფლებებისა და სოციალური სამართლიანობის კულტურის დამკვიდრებას. ზოგიერთი მათგანის მანდატში შედის ინდივიდუალური საჩივრების განხილვა და სასამართლო წარმოებაში მონაწილეობაც.

ევროპის სოციალური ქარტიის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები და თანასწორობის ეროვნული ორგანოები სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის (ECSR) მნიშვნელოვანი პარტნიორები გახდნენ როგორც ანგარიშგების, ასევე კოლექტიური საჩივრების პროცედურებში მონაწილეობის კუთხით. ეს უწყებები მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას ასრულებენ და კარგად იცნობენ ადგილზე არსებულ ვითარებას. შესაბამი-

სად, ისინი უზრუნველყოფენ მონაცემებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც კომიტეტს ეხმარება ქარტიის შესაძლო დარღვევების შეფასებაში.

- ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები და თანასწორობის ეროვნული ორგანოები წარადგენენ ანგარიშებს და თანამშრომლობენ ისეთ საერთაშორისო და ევროპულ ორგანოებთან, როგორიცაა სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი. ამის მიზანია ყველა პირის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვა.

- მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2021)1, მიღებული 2021 წლის 31 მარტს, ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს მოუწოდებს, რომ გამოიკვლიონ გზები ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების (ხშირად - თანასწორობის ორგანოების) როლისა და ჩართულობის გასაძლიერებლად ევროპის საბჭოში.

- წინამდებარე სახელმძღვანელო, ასევე, ყოველწლიური შეხვედრები სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელისა (ENNHRI) და თანასწორობის ორგანოების ევროპული ქსელის (EQUINET) წევრებს შორის ძლიერი საწინდარია მყარი თანამშრომლობისთვის. ევროპაში სოციალურ უფლებათა სათანადოდ დაცვისთვის საჭიროა ქმედითი თანამშრომლობა, ერთი მხრივ, ევროპის საბჭოსა და ევროპულ ქვეყნებს, ხოლო მეორე მხრივ, ეფექტიან, პლურალისტურ და დამოუკიდებელ ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებსა და თანასწორობის ორგანოებს შორის.

- სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი დაინტერესებულია ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებისა და თანასწორობის ეროვნული ორგანოების მხარდაჭერით. ევროპის სოციალური ქარტიის სამდივნო მზად არის, რომ უხელმძღვანელოს მათ ანგარიშგების პროცესში და დაეხმაროს ნებისმიერი პრობლემისა და საკითხის გადაჭრაში (მაგ: ფორმატებსა და ვადებთან დაკავშირებით).

- წინამდებარე სახელმძღვანელოში საუბარია სწორედ ამ ვალდებულებაზე და გვჯერა, რომ გამოცემა ამომწურავად განმარტავს პროცესს, რომელიც ხელს შეუწყობს მჭიდრო თანამშრომლობას, ერთი მხრივ, კომიტეტსა და, მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებსა თუ თანასწორობის ეროვნულ ორგანოებს შორის ევროპაში.

კარინ ლუკასი
სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის პრეზიდენტი



რა არის ევროპის სოციალური ქარტია

მოკლე მიმოხილვა

ევროპის სოციალური ქარტია ევროპის საბჭოს ხელშეკრულებაა, რომელიც ძირითადად ადგენს სოციალურ და ეკონომიკურ უფლებათა დაცვის გარანტიებს. იგი მოიაზრება როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მსგავსი ინსტრუმენტი, რომელიც ორიენტირებულია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე. ქარტია ეფუძნება უნივერსალურობის, განუყოფლობისა და ურთიერთდამოკიდებულების იმავე პრინციპებს, რომლებსაც ეყრდნობა ადამიანის უფლებათა სხვა ინსტრუმენტები.

ქარტია იცავს ადამიანის უფლებათა ფართო სპექტრს, რომლებიც შეეხება დასაქმებას, სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას, საცხოვრებლით უზრუნველყოფას, განათლებას, სოციალურ დაცვასა და კეთილდღეობას, განსაკუთრებული აქცენტით მოწყვლადი ჯგუფების დაცვაზე (მაგ: ხანდაზმული პირები, ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მიგრანტები). ამ უფლებებით სარგებლობა გარანტირებული უნდა იყოს დისკრიმინაციის გარეშე.

ამ ხელშეკრულების რატიფიკაციით, ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების უმეტესობამ (47-დან 43-მა სახელმწიფომ) ოფიციალურად განაცხადა თა-

ნხმობა ქარტიის ამოქმედებაზე. რატიფიკაციის აქტით სახელმწიფოები ქარტიის „მხარეები“ ხდებიან და ეკისრებათ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებათა განხორციელების სამართლებრივი ვალდებულება.

ორი ხელშეკრულება

ამჟამად თანაარსებობს ევროპის სოციალური ქარტიის ორი ვერსია: 1961 წელს მიღებული (თავდაპირველი), და 1996 წელს შესწორებული და მიღებული. ეს უკანასკნელი უფრო მეტ უფლებას მოიცავს (მაგ: ხანდაზმულ პირთა უფლებები; სიღარიბისა და სოციალური გარიყულობისგან დაცვის უფლება), ამასთანავე, განავრცობს და ახლებურად მოიაზრებს თავდაპირველ ვერსიაში ასახულ რამდენიმე უფლებას. შესწორებული ქარტია თანდათანობით ჩაანაცვლებს 1961 წლის ქარტიას. სახელმწიფოები შეიძლება გახდნენ რომელიმე ამ ვერსიის, მაგრამ არა ორივეს მხარეები. ამჟამად ქვეყნების უმეტესობას (36-ს 43-დან) რატიფიცირებული აქვს ევროპის სოციალური ქარტიის განახლებული ვერსია. ამ ვერსიის დამტკიცებით, სახელმწიფო ვალდებული ხდება, სულ მცირე, მიუერთდეს იმ დებულებებს, რომლებიც შეესაბამება მის მიერ 1961 წლის ქარტიით აღიარებულ ნორმებს.

შესაბამისად, როდესაც განიხილავენ სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტთან თანამშრომლობასა და სოციალური ქარტიის მონიტორინგის პროცედურებში ჩართულობას, **ადამიანის უფლებათა ეროვნულმა ინსტიტუტებმა** და **თანასწორობის ეროვნულმა ორგანოებმა** უნდა გადაამოწმონ, ევროპის სოციალური ქარტიის რომელი ვერსია აქვს რატიფიცირებული მხარე სახელმწიფოს (მხოლოდ ხელმოწერა არ კმარა).

შესწორებული ქარტია შეიცავს 31 მუხლს, რომლებიც იყოფა ოთხ თემატურ ჯგუფად:

ჯგუფი 1: დასაქმება, პროფესიული მომზადება და თანაბარი შესაძლებლობები	**ჯგუფი 2:** ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაცვა	**ჯგუფი 3:** შრომითი უფლებები	**ჯგუფი 4:** ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები
მუხლი 1	მუხლი 3	მუხლი 2	მუხლი 7
მუხლი 9	მუხლი 11	მუხლი 4	მუხლი 8
მუხლი 10	მუხლი 12	მუხლი 5	მუხლი 16

მუხლი 15	მუხლი 13	მუხლი 6	მუხლი 17
მუხლი 18	მუხლი 14	მუხლი 21	მუხლი 19
მუხლი 20	მუხლი 23	მუხლი 22	მუხლი 27
მუხლი 24	მუხლი 30	მუხლი 26	მუხლი 31
მუხლი 25		მუხლი 28	
		მუხლი 29	

სახელმწიფოზე მორგებული სისტემა

ქარტია ეფუძნება რატიფიკაციის à la carte სისტემას. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოებს შეუძლიათ, აირჩიონ ის დებულებები, რომლებსაც აღიარებენ იურიდიულად მავალდებულებელ ნორმებად. მათ უნდა მიიღონ 1961 წლის ქარტიით გათვალისწინებული, სულ მცირე, 10 მუხლი ან 45 დანომრილი პუნქტი, და შესწორებული ქარტიით გათვალისწინებული არანაკლებ 16 მუხლი ან 63 დანომრილი პუნქტი.

შესაბამისად, როდესაც განიხილავენ სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტთან თანამშრომლობასა და სოციალური ქარტიის მონიტორინგის პროცედურებში ჩართვას, **ადამიანის უფლებათა ეროვნულმა ინსტიტუტებმა** და **თანასწორობის ეროვნულმა ორგანოებმა** უნდა გადაამოწმონ, ქარტიის რომელი დებულებებია სახელმწიფოსთვის იურიდიულად მავალდებულებელი. გადამოწმება შესაძლებელია სახელმწიფოთა მიერ მიღებულ დებულებათა ცხრილში.

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი

წევრი ქვეყნების მიერ სოციალური ქარტიით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ზედამხედველობს სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი. მის 15 დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ წევრს ირჩევს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, ექვსი წლის ვადით, რომელიც შეიძლება ერთხელ განახლდეს.

კომიტეტი ზედამხედველობს ქარტიის მოთხოვნათა შესრულებას მონიტორინგის ორი დამატებითი პროცედურის ფარგლებში:

- კოლექტიური საჩივრების პროცედურა
- ანგარიშგების სისტემა

ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებსა და თანასწორობის ეროვნულ ორგანოებს ორივე პროცედურაში შეუძლიათ ქმედითად ჩართვა და წვლილის შეტანა.

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი მხარე სახელმწიფოთა მიერ ყოველწლიურად წარდგენილ ეროვნულ ანგარიშებზე იღებს „დასკვნებს“, უფლებამოსილ ორგანიზაციათა კოლექტიურ საჩივრებზე კი გამოაქვს „გადაწყვეტილებები“. კომიტეტის განმარტებები ქარტიის თითოეული დებულების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის პრეცედენტული სამართლის კრებულში.

ვინაიდან გადაწყვეტილებები და დასკვნები ეხება მავალდებულებელ სამართლებრივ დებულებებს და მიიღება ქარტიისა და შესაბამისი ოქმის საფუძველზე შექმნილი მონიტორინგის ორგანოს მიერ, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, პატივი სცენ მათ. ეს გადაწყვეტილებები და დასკვნები არ ექვემდებარება უშუალო აღსრულებას შიდასამართლებრივი სისტემების ფარგლებში, თუმცა ისინი ადგენენ კანონს და შეუძლიათ, შექმნან საფუძველი ეროვნულ დონეზე სოციალურ უფლებათა განვითარებისთვის, კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით.

გარდა ამისა, შესწორებული ქარტიის მხარე სახელმწიფოებმა რატიფიკაციის დღიდან ხუთ წელიწადში ერთხელ უნდა წარადგინონ ანგარიში მიუღებელ დებულებებზე. ამ კუთხით სიტუაციის შესასწავლად, სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა შეიძლება მოაწყოს შეხვედრა ეროვნულ ხელისუფლებასთან, ან სახელმწიფოს სთხოვოს წერილობითი ანგარიშის წარდგენა დებულებებზე, რომლებიც ჯერ არ მიუღია. სახელმწიფოს შეუძლია, კომიტეტთან შეხვედრაზე თავისი ინიციატივით მოიწვიოს სოციალური პარტნიორები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები და თანასწორობის ეროვნული ორგანოები.

სასარგებლო ინფორმაცია:

დამატებითი ინფორმაცია სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტსა და მის პროცედურებზე შეგიძლიათ იხილოთ კომიტეტის წესდებაში და ვებგვერდზე.

პრეცედენტული სამართლის კრებულში ნაჩვენებია, თუ როგორ განმარტავს კომიტეტი ევროპის სოციალური ქარტიის სხვადასხვა მუხლს მონიტორინგის პროცედურების მეშვეობით. ასევე მოცემულია მნიშვნელოვანი ინფორმაცია ქარტიით გათვალისწინებულ უფლებათა შინაარსზე, და მოლოდინებზე იმ სახელმწიფოთა მიმართ, რომლებიც მიუერთდნენ ქარტიის დებულებებს.

კრებულის დანართი შეიცავს სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის ანგარიშებს, გადაწყვეტილებებსა და დასკვნებს.

კოლექტიური საჩივრების პროცედურა

რა არის კოლექტიური საჩივრების პროცედურა?

- კოლექტიური საჩივრების პროცედურა დაინერგა 1995 წელს მიღებული დამატებითი ოქმის საფუძველზე.

- პროცედურის მიზანია, გაუმჯობესდეს ქარტიით გარანტირებულ უფლებათა აღსრულება და გაძლიერდეს სოციალური პარტნიორებისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა ამ პროცესში. ეს მიიღწევა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისთვის (სრული განმარტება და მითითება იხილეთ ქვემოთ) შესაძლებლობის მიცემით, რომ შეიტანონ საჩივრები სახელმწიფოთა წინააღმდეგ, თუკი მიიჩნევენ, რომ ევროპის სოციალური ქარტიის (და დამატებითი ოქმის) მხარე სახელმწიფომ სათანადოდ ვერ შეასრულა ქარტიის მოთხოვნები.

- კოლექტიური საჩივრების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომლებსაც რატიფიცირებული აქვთ დამატებითი ოქმი კოლექტიური საჩივრების სისტემის შესახებ (მხოლოდ ხელმოწერა არ კმარა), ან რომლებმაც გააკეთეს განცხადება შესწორებული

ქარტიის D§2 მუხლთან მიმართებით (ამ ეტაპისთვის, ასეთი განცხადება გაკეთებული აქვთ ბულგარეთსა და სლოვენიას).

სასარგებლო ინფორმაცია:

ინფორმაცია განცხადებებზე შესწორებული ქარტიის D§2 მუხლთან მიმართებით, შეგიძლიათ იხილოთ დამატებითი ოქმის ხელმოწერებისა და რატიფიკაციების ცხრილში, კერძოდ, შენიშვნების ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას.

ევროპის სოციალური ქარტიის მხარე სახელმწიფოებს არ ევალებათ კოლექტიური საჩივრების პროცედურის მიღება, თუმცა მათ მოუწოდებენ ამისკენ. დღეისათვის 16-მა სახელმწიფომ განაცხადა თანხმობა ამ პროცედურებთან დაკავშირებულ ვალდებულებაზე და შესაძლებელია მათ მიმართ საჩივრის წარდგენა.

შესაბამისად, როდესაც განიხილავენ კოლექტიური საჩივრების პროცედურაში ჩართვის შესაძლებლობას, **ადამიანის უფლებათა ეროვნულმა ინსტიტუტებმა** და **თანასწორობის ეროვნულმა ორგანოებმა** უნდა გადაამოწმონ, მიიღო თუ არა სახელმწიფომ დამატებითი ოქმით გათვალისწინებული პროცედურა, რომელიც ნერგავს კოლექტიური საჩივრების სისტემას. ეს ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ევროპის სოციალური ქარტიის ვებგვერდზე, ხელმოწერებისა და რატიფიკაციების ცხრილში.

როგორ მუშაობს კოლექტიური საჩივრების პროცედურა?

რეგისტრაცია და განხილვის თანმიმდევრობა

საჩივრები სამდივნოში რეგისტრირდება მათი მიღების რიგითობით. კომიტეტი საჩივრებს განიხილავს შესაბამისი მზაობის მიხედვით, თუმცა მას შეუძლია, პრიორიტეტი მიანიჭოს კონკრეტული საჩივრის განხილვას (ECSR-ის წესდების 26-ე წესი).

დასაშვებობა

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი შეისწავლის ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა პუნქტს (იხ: „როგორ წარადგენს ორგანიზაცია საჩივარს სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტში?“) და გამოაქვს გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებობაზე.

წარმოება

▬ თუ კომიტეტი საჩივარს დასაშვებად გამოაცხადებს, თხოვნით მიმართავს შესაბამის სახელმწიფოს, რომ წერილობითი მოსაზრებები წარადგინოს საჩივრის არსებით მხარეზე, საჩივრის წარმდგენ ორგანიზაციას კი შესთავაზებს პასუხის გაცემას ამ მოსაზრებებზე. შემდგომში, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით ან სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის ინიციატივით, შეიძლება გაიმართოს საჯარო მოსმენა.

არსებითი მხარე

▬ კომიტეტი შეისწავლის ყველა არგუმენტსა და მტკიცებულებას, რომლებიც წარმოდგენილია წარმოების პროცესში და გამოიტანს გადაწყვეტილებას საჩივრის არსებით მხარეზე. ამ გადაწყვეტილებით დადგინდება, შეესაბამება თუ არა ევროპის სოციალურ ქარტიას იმ სახელმწიფოს კანონი და/ან პრაქტიკა, რომლის წინააღმდეგაც წარდგენილია საჩივარი.

შემდგომი ღონისძიებები

▬ შესაბამისმა სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილების შესრულებას შემდგომში ზედამხედველობს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, რომელმაც შეიძლება მიიღოს რეზოლუცია, ან გასცეს რეკომენდაცია შესაბამისი სახელმწიფოს საყურადღებოდ. ნებისმიერ შემთხვევაში, მინისტრთა კომიტეტს არ შეუძლია სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის სამართლებრივი შეფასების გაუქმება/შეცვლა.

შემდგომი ანგარიშგება და ღონისძიებები

▬ თუ სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი საჩივრის არსებით მხარეზე მიღებული გადაწყვეტილებით დაადგენს ევროპის სოციალური ქარტიის დარღვევას, შესაბამისმა სახელმწიფომ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად მიღებულ ზომებზე. სახელმწიფომ ეს ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს თავის ანგარიშებში შემდგომი ღონისძიებების შესახებ (ე.წ. „გამარტივებული ანგარიშები“), რაც ანგარიშგების პროცედურის ნაწილია. ამის შემდეგ, სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი დაადგენს, მოარგო თუ არა შესაბამისმა სახელმწიფომ ვითარება ევროპის სოციალურ ქარტიას და გამოაქვეყნებს შესაბამის „დასკვნებს“.

▬ პარტნიორ ორგანიზაციებს შეუძლიათ, გამარტივებულ ანგარიშებზე კომენტარები ან დამატებითი ინფორმაცია სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტს წარუდგინონ იმავე პირობებით, როგორც თემატურ ჯგუფებთან დაკავშირებული ჩვეულებრივი ანგარიშების შემთხვევაში (იხ. წესი 21A).

დაუყოვნებელი ზომები

▬ სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა შესაძლოა სახელმწიფოს მიუთითოს იმ აუცილებელ ღონისძიებებზე, რომელთა გატარებითაც აიცილებს ქარტიით აღიარებულ უფლებათა მძიმე დაზიანებას. კომიტეტმა ეს შეიძლება გააკეთოს საკუთარი ინიციატივით, ან მომჩივანი ორგანიზაციის თხოვნის საფუძველზე.

▬ თუ მომჩივანი ორგანიზაცია ითხოვს დაუყოვნებელი ზომების გატარებას, მან უნდა დააკონკრეტოს, თუ რატომ ითხოვს მათ და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს კომიტეტის უარს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

რომელ ორგანიზაციებს შეუძლიათ საჩივრების წარდგენა სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტში?

▬ დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის შესაბამისად, ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტში საჩივრის წარდგენის უფლება აქვთ მხოლოდ გარკვეულ ორგანიზაციებს:

- ▸ დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაციები და პროფესიული კავშირები, მათ შორის: ევროპის პროფესიული კავშირების კონფედერაცია (ETUC) (დასაქმებულთა სახელით) და Business Europe და დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაცია (OIE) (დამსაქმებელთა სახელით);
- ▸ გარკვეული საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები (INGO), რომლებსაც აქვთ ევროპის საბჭოში მონაწილეობის სტატუსი. არასამთავრობო ორგანიზაციათა განაცხადები, მიღების შემდეგ, დასამტკიცებლად წარედგინება ევროპის სოციალური ქარტიისა და სოციალური უზრუნველყოფის ევროპული კოდექსის სამთავრობო კომიტეტს. ეს უწყება მომდევნო ოთხწლიანი პერიოდისთვის ადგენს იმ არასამთავრობო ორგანიზაციათა სიას, რომლებსაც აქვთ კოლექტიური საჩივრების წარდგენის უფლება;
- ▸ სოციალური პარტნიორები ეროვნულ დონეზე;
- ▸ შესაბამისი ქვეყნის დამსაქმებელთა ეროვნული ორგანიზაციები და პროფკავშირები.

▬ გარდა ამისა, ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია, თავისი იურისდიქციის ქვეშ არსებულ წარმომადგენლობით არასამთავრობო ორგანიზაციებს მიანიჭოს მის წინააღმდეგ საჩივრის წარდგენის უფლება. ჯერჯერობით, ეს მხოლოდ ფინეთმა გააკეთა.

ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებსა და თანასწორობის ეროვნულ ორგანოებს თვითონ არ შეუძლიათ კოლექტიური საჩივრების შეტანა სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტში, თუმცა უფლება აქვთ, დაუკავშირდნენ რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციას და მხარი დაუჭირონ მთელი ამ პროცესის განმავლობაში.

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპულ ქსელსა და **თანასწორობის ორგანოთა ევროპულ ქსელს,** რომლებიც აერთიანებენ დარეგისტრირებულ არაკომერციულ ორგანიზაციებს, ამის გაკეთება შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიენიჭებათ ევროპის საბჭოში მონაწილეობის სტატუსი.

სასარგებლო ინფორმაცია:

თუ როგორ იღებს არასამთავრობო ორგანიზაცია ევროპის საბჭოში მონაწილეობის სტატუსს, შეგიძლიათ იხილოთ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების კონფერენციის ვებგვერდზე.

ინფორმაცია არასამთავრობო ორგანიზაციათა თანამშრომლობაზე სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტთან შეგიძლიათ იხილოთ ევროპის სოციალური ქარტიის ვებგვერდზე.

როგორ წარადგენს ორგანიზაცია საჩივარს სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტში?

დასაშვებად გამოცხადებისთვის, კოლექტიური საჩივარი უნდა აკმაყოფილებდეს სხვადასხვა კრიტერიუმს, რომლებიც მითითებულია დამატებით ოქმსა და სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის წესდებაში (შემდგომი განმარტებები მოცემულია ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებში დასაშვებობის შესახებ):

- საჩივარი შეტანილი უნდა იყოს წერილობით;
- საჩივარი უნდა წარედგინოს სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის აღმასრულებელ მდივანს, რომელიც მოქმედებს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელით;
- საჩივარი უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე: სოციალური უფლებების დეპარტამენტი

- ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და სამართლის უზენაესობის გენერალური დირექტორატი 1 quai Jacoutot, F-67075 Strasbourg Cedex ელფოსტა: social.charter@coe.int
- საჩივარში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული მომჩივანი ორგანიზაციის სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია;
- საჩივარს ხელს უნდა აწერდეს პირი, რომელსაც აქვს მომჩივანი ორგანიზაციის წარმომადგენლობის უფლებამოსილება. მასში უნდა ჩანდეს, რომ საჩივრის წარმდგენი და ხელმომწერი პირი უფლებამოსილია, წარმოადგინოს ორგანიზაცია;
- საჩივარი უნდა აჩვენებდეს, რომ მომჩივან ორგანიზაციას აქვს საჩივრის წარდგენის უფლება კოლექტიური საჩივრების პროცედურის ფარგლებში (იხ: თავი „რომელ ორგანიზაციებს შეუძლიათ საჩივრების წარდგენა სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტში?“);
- თუ საჩივარს წარადგენს საერთაშორისო ორგანო, ის უნდა მომზადდეს ევროპის საბჭოს რომელიმე ოფიციალურ ენაზე (ინგლისურად ან ფრანგულად);
- თუ საჩივარს წარადგენს ეროვნული ორგანიზაცია, ის უნდა მომზადდეს შესაბამისი მხარე სახელმწიფოს (ერთ-ერთ) ოფიციალურ ენაზე;
- საჩივარი უნდა ეხებოდეს ევროპული სოციალური ქარტიის მხარე სახელმწიფოს, რომელმაც აიღო კოლექტიური საჩივრების პროცედურის ვალდებულება (იხ. თავები „ორი ხელშეკრულება“ და „რა არის კოლექტიური საჩივრების პროცედურა?“).
- საჩივარი უნდა ეხებოდეს ქარტიის ერთ ან რამდენიმე დებულებას, რომლებიც მიღებულია შესაბამისი მხარე სახელმწიფოს მიერ (იხ. თავი „სახელმწიფოზე მორგებული სისტემა“);
- საჩივარი უნდა მიუთითებდეს, თუ რა კუთხით ვერ შეძლო შესაბამისმა მხარე სახელმწიფომ ამ დებულების სათანადოდ შესრულება (ასევე, შეიცავდეს მტკიცებულებებს, შესაბამის არგუმენტაციასა და დამადასტურებელ დოკუმენტაციას).

როგორ შეუძლიათ ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებსა და თანასწორობის ეროვნულ ორგანოებს წვლილის შეტანა კოლექტიური საჩივრების პროცედურაში?

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის წესდების 32-ე და 32A წესის შესაბამისად, მესამე მხარეებს შეუძლიათ ჩართვა იმ კოლექტიურ საჩივრებზე მიმდინარე წარმოებაში, რომელთა უშუალო მხარეებიც არ არიან.

კერძოდ, **32A წესის თანახმად,** კომიტეტს შეუძლია, თუკი მიზანშეწონილად მიიჩნევს, ნებისმიერი ორგანიზაცია, ინსტიტუტი ან პირი მოიწვიოს საკუთარი მოსაზრებების წარსადგენად მესამე მხარის სტატუსით (მათ შორის: NHRIs, NEBs და მათი ქსელები - ENNHRI და Equinet). გარდა ამისა, ორგანიზაციებმა, NHRIs-მა, NEBs-მა და მათმა ქსელებმა შეიძლება თვითონაც მიუთითონ სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტს, რომ დაინტერესებული არიან განსახილველ კოლექტიურ საჩივარზე მოსაზრებათა წარდგენით (მესამე მხარის სტატუსით). ამისათვის, ისინი უნდა დაუკავშირდნენ ევროპის სოციალური ქარტიის სამდივნოს.

კომიტეტის მოწვევა გაიგზავნება არაუგვიანეს ერთ თვეში მას შემდეგ, რაც მთავრობისგან მიიღებს წერილობით მოსაზრებებს საჩივრის არსებით მხარეზე. მოწვეულმა ორგანიზაციამ (NHRI-ის, NEB-ისა და მათი ქსელების ჩათვლით) ან პირმა თავისი მოსაზრებები უნდა წარადგინონ კომიტეტის მიერ განსაზღვრულ ვადაში. ზოგადად, ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს ორ თვეს. მოწვეული ორგანიზაციის (NHRI-ის, NEB-ისა და მათი ქსელების ჩათვლით) ან პირის მოსაზრებები გადაეცემათ მოპასუხე სახელმწიფოსა და საჩივრის წარმდგენ ორგანიზაციას.

სასარგებლო ინფორმაცია:

მოსაზრებები, რომლებსაც NHRI და NEB მესამე მხარის სახით წარადგენენ განსახილველ კოლექტიურ საჩივარზე, უნდა იყოს **მკაფიო და ლაკონიური, ასევე, უკავშირდებოდეს განსახილველ საკითხს.** წარდგინება კონკრეტულად უნდა ეხებოდეს საჩივარს და წარმოდგენილ არგუმენტებს და არ სცდებოდეს საჩივრის ფარგლებს, რადგან კომიტეტი ასეთ მოსაზრებებს არ განიხილავს.

ანგარიშგების პროცედურა

რა არის ანგარიშგების პროცედურა?

ანგარიშგების პროცედურა დაინერგა 1961 წლის ქარტიით (იხ. ნაწილი IV) და გადაისინჯა 1991 წელს მიღებული ტურინის ოქმით. ტურინის ოქმი de facto ძალაში შესულად ითვლება მინისტრთა კომიტეტის 1991 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილების შემდეგ.

ანგარიშგების პროცედურის მიზანია, გაუმჯობესდეს ევროპის სოციალური ქარტიით გარანტირებული უფლებებით სარგებლობა და ხელი შეეწყოს რეგულარულ დიალოგს მხარე სახელმწიფოებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან, ასევე, სოციალურ პარტნიორებთან, NHRIs-სა და NEBs-თან. ამის მისაღწევად, სახელმწიფოებს სთავაზობენ რეგულარული ანგარიშების წარდგენას ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელებაზე, ხოლო კონკრეტულ ორგანიზაციებს (მათ შორის, NHRIs-სა და NEBs-ს) ენიჭებათ დამატებითი კომენტარებისა და ინფორმაციის წარდგენის უფლება.

შესწორებული ქარტიის ან 1961 წლის ქარტიის ყველა მხარე სახელმწიფომ უნდა წარადგინოს რეგულარული ანგარიშები ევროპის ქარტიის შესრულებაზე. ამავდროულად, თუ რომელი უფლებების შესახებ წარმოადგენენ ქვეყნები ანგარიშებს, დამოკიდებულია იმაზე, ქარტიის რომელი ვერსია აქვთ მათ რატიფიცირებული (იხ. ნაწილი „ორი ხელშეკრულება“), ასევე, მათ მიერ მიღებულ დებულებებზე (იხ. თავი „სახელმწიფოზე მორგებული სისტემა“).

როგორ მუშაობს ანგარიშგების პროცედურა?

შეკითხვები მხარე სახელმწიფოებისადმი

ყოველწლიურად, სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი მხარე სახელმწიფოებს მიმართავს კონკრეტული კითხვებით, რომლებიც შეეხება შემდეგი საანგარიშო ციკლის დებულებებს. ეს კითხვები ქვეყნდება ევროპის სოციალური ქარტიის ვებგვერდზე, ანგარიშგების პროცედურის ნაწილში.

ანგარიშების წარდგენა მხარე სახელმწიფოთა მიერ

ყოველწლიურად, ქარტიის მხარე სახელმწიფოები წარადგენენ ანგარიშებს მიღებულ დებულებებზე, რომლებიც ეხება ქვემოთ აღწერილი ოთხი თემატური ჯგუფიდან ერთ-ერთს. სახელმძღვანელო მითითებები მხარე სახელმწიფოთა მიერ ეროვნული ანგარიშების შედგენაზე შეგიძლიათ იხილოთ ევროპის სოციალური ქარტიის ვებგვერდზე. ეროვნული ანგარიშების წარდგენის ბოლო ვადაა **ყოველი წლის 31 დეკემბერი.**[1]

სახელმწიფოთა მიერ წარდგენილი ყველა ეროვნული ანგარიში ქვეყნდება ევროპის სოციალური ქარტიის ვებგვერდზე, ქვეყნების პროფილების ნაწილში.

ანგარიშგების გრაფიკი

მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე, ანგარიშგების პროცედურის მიზნებისთვის, ევროპის სოციალური ქარტიის დებულებები ოთხ თემატურ ჯგუფად დაიყო. მხარე სახელმწიფოები ყოველწლიურ ანგარიშს წარადგენენ ერთ-ერთ ჯგუფთან დაკავშირებულ დებულებებზე.

- შესაბამისად, სახელმწიფოები ქარტიის თითოეულ მიღებულ დებულებაზე ანგარიშს წარადგენენ ოთხ წელიწადში ერთხელ. ეს ოთხი თემატური ჯგუფი ასე განისაზღვრა:
- ჯგუფი 1: დასაქმება, პროფესიული მომზადება და თანაბარი შესაძლებლობები (მუხლები: 1, 9, 10, 15, 18, 20, 24 და 25);
- ჯგუფი 2: ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაცვა (მუხლები: 3, 11, 12, 13, 14, 23 და 30);
- ჯგუფი 3: შრომითი უფლებები: (მუხლები: 2, 4, 5, 6, 21, 22, 26, 28 და 29).
- ჯგუფი 4: ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები: (მუხლები: 7, 8, 16, 17,19, 27 და 31).

გამარტივებული ანგარიშები

მინისტრთა კომიტეტის 2014 წლის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, თითოეულმა სახელმწიფომ, რომელმაც მიიღო კოლექტიური საჩივრების პროცედურა, ორ წელიწადში ერთხელ უნდა წარადგინოს გამარტივებული ანგარიში. წარდგენის გრაფიკი დამოკიდებულია ჯგუფზე, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან.

- A ჯგუფი: საფრანგეთი, საბერძნეთი, პორტუგალია, იტალია, ბელგია, ბულგარეთი, ირლანდია, ფინეთი;
- B ჯგუფი: ნიდერლანდები, შვედეთი, ხორვატია, ნორვეგია, სლოვენია, კვიპროსი, ჩეხეთი და ესპანეთი.

[1] შეიძლება გამონაკლისების დაშვება: მაგალითად, 2019 და 2020 წელს ვადა გაგრძელდა 31 დეკემბრამდე.

▬ გამარტივებული ანგარიშების წარმდგენ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ: ინფორმაციის წარდგენა შემდგომ ღონისძიებებზე, რომლებიც მათ გაატარეს სოციალურ უფლებათა კომიტეტის მიერ კოლექტიურ საჩივრებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა საპასუხოდ; ასევე, პასუხის გაცემა ნებისმიერ შეკითხვაზე, რომლებიც დაისმება შესაბამის დებულებათა გადავადების შემთხვევაში.

▬ გამარტივებული ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მხოლოდ იმ ღონისძიებებზე, რომლებიც გატარდა კოლექტიურ საჩივრებზე კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. გამარტივებული ანგარიშის წარდგენისას, სახელმწიფოებს აღარ მოეთხოვებათ ანგარიშგება თემატური ჯგუფის დებულებებზე.

▬ როგორც ჩვეულებრივი, ისე გამარტივებული ანგარიშების დადგენილი განრიგი შეგიძლიათ იხილოთ ევროპის სოციალური ქარტიის ვებგვერდზე.

შეხვედრები

▬ ანგარიშის დეტალურად განსახილველად, სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება სახელმწიფოს წარმომადგენელთან შეხვედრის ორგანიზებაზე (საკუთარი ინიციატივით, ან შესაბამისი სახელმწიფოს მოთხოვნის საფუძველზე).

▬ ამ შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მიიწვიონ დამსაქმებელთა ეროვნული ორგანიზაციებიც, ასევე, ეროვნული პროფკავშირები, NHRIs, NEBs და არასამთავრობო ორგანიზაციები, თუკი შესაბამისი სახელმწიფო ამაზე თანხმობას განაცხადებს.

დასკვნები

▬ სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი შეისწავლის პროცედურის ფარგლებში წარდგენილ ყველა ეროვნულ ანგარიშსა და ინფორმაციას. წლის ბოლოს (დეკემბერში) იგი მიიღებს დასკვნებს თითოეული მხარე სახელმწიფოს მიერ ევროპის სოციალური ქარტიის შესრულებაზე.

შემდგომი ღონისძიებები

▬ შესაბამისმა სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის დასკვნებს. შემდგომში მათ გათვალისწინებას ზედამხედველობს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, მონიტორინგის პროცედურის ფარგლებში.

▬ თუ სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი თავის დასკვნებში დაადგენს ქარტიის მოთხოვნებთან შეუსაბამობას, მომდევნო ეროვნულ ანგარიშში სახელმწიფომ უნდა წარადგინოს ინფორმაცია შემდგომ ზომებზე, რომლებიც გაატარა ამ დასკვნების გასათვალისწინებლად. აღნიშნულ პროცესს მონიტორინგს უწევს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, სამთავრობო კომიტეტის (რომლის წევრებიც არიან ქარტიის მხარე სახელ-

მწიფოთა წარმომადგენლები და დამკვირვებლები ევროპული პროფკავშირებიდან და დამსაქმებელთა ორგანიზაციებიდან) წინადადებათა გათვალისწინებით. მინისტრთა კომიტეტს შეუძლია (მაგრამ არა ყოველთვის) მიიღოს რეზოლუცია, ან შესაბამისი სახელმწიფოსთვის გასცეს რეკომენდაცია სამთავრობო კომიტეტის წინადადებათა საფუძველზე; ასევე, სახელმწიფოს სთხოვოს არსებულ კანონმდებლობასა და/ან პრაქტიკაში ცვლილებების შეტანა, თუ მანამდე ვერ შეძლებს შექმნილი ვითარების გამოსწორებას.

▬ მეტი ინფორმაცია ანგარიშგების პროცედურასა და დასკვნების შემდგომ გატარებულ ღონისძიებებზე შეგიძლიათ იხილოთ ევროპის საბჭოს ვებგვერდზე.

რომელ ორგანიზაციებს შეუძლიათ კომენტარებისა და ინფორმაციის წარდგენა ეროვნულ ანგარიშებზე?

▬ 1961 წლის ქარტიის (რომელიც გადაისინჯა ტურინის ოქმით) 23(1) და 27(2) მუხლებისა და კომიტეტის წესდების 21A წესის შესაბამისად, გარკვეულ ორგანიზაციებს უფლება აქვთ, ეროვნული ანგარიშების პარალელურად წარუდგინონ კომენტარები და ინფორმაცია ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტს. ამისათვის ევროპის სოციალური ქარტიის მხარე სახელმწიფოებმა თავიანთი ეროვნული ანგარიშების ასლები უნდა მიაწოდონ ამ ორგანიზაციების ეროვნულ წევრებს.

▬ თუ რამდენად და როგორ გაითვალისწინებს მიწოდებულ ინფორმაციას ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტი, სრულად მისი დისკრეციული უფლებამოსილებაა.

▬ ამ ინსტიტუტებს მიეკუთვნება:

- საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ ევროპის საბჭოში მონაწილეობის სტატუსი, ასევე, ცოდნა და გამოცდილება ქარტიით დარეგულირებულ საკითხებზე;
- დამსაქმებელთა გარკვეული საერთაშორისო ორგანიზაციები და პროფესიული კავშირები, მათ შორის, ევროპის პროფესიული კავშირების კონფედერაცია (ETUC) (დასაქმებულთა სახელით) და Business Europe და დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაცია (OIE) (დამსაქმებელთა სახელით);
- სხვა ორგანიზაციები, ინსტიტუტები და დაწესებულებები, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები და თანასწორობის ეროვნული ორგანოები.

ამდენად, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები და თანასწორობის ეროვნული ორგანოები უფლებამოსილნი არიან, სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტს წარუდგინონ კომენტარები ეროვნულ ანგარიშებზე, ან დამატებითი ინფორმაცია შესაბამის სახელმწიფოზე.

როგორ წარადგენენ ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები და თანასწორობის ეროვნული ორგანოები კომენტარებსა და ინფორმაციას ეროვნულ ანგარიშებზე?

- სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის წესდების 21A წესის შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებსა და თანასწორობის ეროვნულ ორგანოებს უფლება აქვთ, ჩაერთონ ანგარიშგების პროცედურის სხვადასხვა ეტაპზე.
- **NHRI-ისა** და **NEB-ს** შეუძლიათ, სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტს კომენტარები და დამატებითი ინფორმაცია წარუდგინონ ეროვნული თემატური ანგარიშების პარალელურად. ეროვნულ ანგარიშებზე კომენტარები უნდა წარედგინოს ევროპის სოციალური ქარტიის სამდივნოს, იმ წლის 30 ივნისამდე, რომლის განმავლობაშიც სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი განიხილავს შესაბამის ეროვნულ ანგარიშს. ეს ვადა დაწესდა იმისთვის, რომ სახელმწიფოებს მიეცეთ დრო კომენტარებზე საპასუხოდ, თუკი ამას მოისურვებენ.
- **NHRI-სა და NEB-ს** კომენტარებისა ან დამატებითი ინფორმაციის წარდგენა შეუძლიათ გამარტივებულ ანგარიშებზეც, იმავე პირობებით, როგორც ეროვნული ანგარიშების შემთხვევაში.

სასარგებლო ინფორმაცია:

- ანგარიშგების პროცედურის საკვანძო თარიღები:
- მხარე სახელმწიფოებს შეკითხვები მიმდინარე თემატურ ჯგუფთან დაკავშირებით ეგზავნებათ მაისის ბოლომდე;
- თემატური და გამარტივებული ეროვნული ანგარიშები სახელმწიფოებმა უნდა წარადგინონ **31 დეკემბრამდე;**
- ეროვნულ ანგარიშებზე კომენტარები ან დამატებითი ინფორმაცია **NHRI**-მა და **NEB**-მა (ან სხვა ორგანიზაციებმა, რომლებსაც აქვთ ამის უფლება) უნდა წარადგინონ მომდევნო წლის **30 ივნისამდე;**
- სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი დასკვნებს **31 დეკემბრამდე** იღებს;
- სოციალური უფლებათა კომიტეტი დასკვნებს მომდევნო წლის **31 მარტამდე** აქვეყნებს.

▬ თუ მხარე სახელმწიფო არ წარადგენს თემატურ ანგარიშს, კომიტეტი არ მიიღებს დასკვნებს ამ სახელმწიფოსთან მიმართებით.

სასარგებლო ინფორმაცია:

როგორ უნდა გამოიყურებოდეს წარდგინებები ანგარიშების პროცედურის ფარგლებში?

არ არსებობს სპეციალური ფორმატი ეროვნულ ანგარიშებზე NHRI-ისა და NEB-ის მიერ გაკეთებული კომენტარებისთვის, რომლებიც სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტს წარედგინება ანგარიშგების პროცედურის ფარგლებში. თუმცა, კომიტეტი მიესალმება ანგარიშებს, რომლებიც:

- კონკრეტულ და სიღრმისეულ ინფორმაციას აწვდის საკითხებზე, რომლებიც უყურადღებოდ დარჩა, ან არასათანადოდ გაშუქდა ქვეყნის ეროვნულ ანგარიშში;
- ითვალისწინებს კომიტეტის წინა შესწავლის შედეგებსა და დასკვნებს განსახილველ მუხლთან დაკავშირებით;

პასუხობს კითხვებს, რომლებიც კომიტეტმა წინა შესწავლისას დასვა კონკრეტულ დებულებასთან მიმართებით. ეს კითხვები შეიძლება ძალიან სასარგებლო იყოს „ჩრდილოვანი ანგარიშის“ შედგენისას.

გარდა ამისა, **NHRI**-მა და **NEB**-მა უნდა გაითვალისწინონ მხარე სახელმწიფოთათვის ანგარიშგების ციკლის დასაწყისში წარდგენილი კითხვარი.

„ჩრდილოვანი ანგარიში“ ყველაზე სასარგებლო გზად მიიჩნევა ანგარიშგების ციკლის განმავლობაში ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის საკითხების დასაყენებლად. რეკომენდებულია, **NHRIs**-ისა და **NEBs**-ის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სარკისებურად იმეორებდეს სახელმწიფოს ეროვნული ანგარიშის სტრუქტურასა და მიდგომას და მიზანმიმართულად და ლაკონიურად აწვდიდეს შინაარსს. მხარე სახელმწიფოთა ეროვნული ანგარიშები ხელმისაწვდომია ევროპის სოციალური ქარტიის ვებგვერდზე, ქვეყნების პროფილების ნაწილში. კომენტარები ან დამატებითი ინფორმაცია კომიტეტისთვის წარდგენილ ეროვნულ ანგარიშებზე გასაჯაროვდება მას შემდეგ, რაც ისინი მიეწოდება შესაბამის მთავრობას.

- ამის კარგი მაგალითია ირლანდიის ადამიანის უფლებათა და თანასწორობის კომისიის (IHREC) მიერ 2017 წლიდან წარდგენილი კომენტარები და ინფორმაცია:

- IHREC-ის კომენტარები ირლანდიის მე-17 ეროვნულ ანგარიშზე ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელების შესახებ, 2020 წლის ციკლი (გამარტივებული ანგარიში);
- IHREC-ის კომენტარები ირლანდიის მე-16 ეროვნულ ანგარიშზე ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელების შესახებ, 2019 წლის ციკლი (თემატური ანგარიში);
- IHREC-ის კომენტარები ირლანდიის მე-15 ეროვნულ ანგარიშზე ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელების შესახებ, 2018 წლის ციკლი (გამარტივებული ანგარიში);

IHREC-ის კომენტარები ირლანდიის მე-14 ეროვნულ ანგარიშზე ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელების შესახებ, 2017 წლის ციკლი (თემატური ანგარიში).

მაგალითად, სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის 2019 წლის დასკვნები მე-4 თემატურ ჯგუფზე - „ბავშვები, ოჯახები და მიგრანტები“ - შეიცავდა 52 მითითებას ირლანდიის ადამიანის უფლებათა და თანასწორობის კომისიის კომენტარებზე, რომლებიც წარდგენილია 2019 წლის მაისში. როდესაც კომიტეტი იღებდა დასკვნებს ირლანდიის შეუსაბამობაზე მე-16 მუხლის მოთხოვნებთან, დიდწილად ეყრდნობოდა IHREC-ის კვლევას, მონაცემებსა და კომენტარებს. კომიტეტმა სახელმწიფოს ასევე ჰკითხა, არის თუ არა დადგენილი რაიმე შეზღუდვა ოჯახების საოჯახო ცენტრებში დარჩენის ხანგრძლივობაზე საგანგებო ვითარებისას, რითაც პირდაპირ აისახა IHREC-ის შეშფოთება ამ საკითხთან მიმართებით.

დამატებითი მაგალითებისთვის, იხილეთ ქვეყნების პროფილები ევროპის სოციალური ქარტიის ვებგვერდზე.

სად შეიძლება სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის გადაწყვეტილებებისა და დასკვნების მოძიება?

▬ კომიტეტის გადაწყვეტილებები და დასკვნები შეგიძლიათ იხილოთ ევროპის სოციალური ქარტიის HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში.

- HUDOC გაძლევთ ძიების პარამეტრების შევიწროების საშუალებას, კერძოდ, შემდეგი გზებით:
- **კოლექტიურ საჩივრებთან დაკავშირებული კონკრეტული ტიპის დოკუმენტების** შერჩევა, იმის მიხედვით, რა გაინტერესებთ (გადაწყვეტილებები დასაშვებობის შესახებ, გადაწყვეტილებები არსებით მხარეზე, დაუყოვნებლივი ზომების გატარების მოთხოვნები, გადაწყვეტილებები საჩივრის ამორიცხვის შესახებ, ან გადაწყვეტილებების შემდგომი ღონისძიებები);
- **წარსულ კოლექტიურ საჩივრებთან დაკავშირებული კონკრეტული პარამეტრების შერჩევა,** იმის მიხედვით, რა გაინტერესებთ (ევროპის სოციალური ქარტიის ცალკეული დებულებები, სახელმწიფოები ან მომჩივანი ორგანიზაციები, რომლებიც ფიგურირებენ წარსულ გადაწყვეტილებებში);
- **ანგარიშგების პროცედურასთან დაკავშირებული კონკრეტული ტიპის დოკუმენტების შერჩევა,** იმის მიხედვით, რა გაინტერესებთ (დასკვნები, განცხადებები განმარტების შესახებ, ცალკეული მოსაზრებები, თუ დასკვნების შემდგომი ღონისძიებები);

▬ **წინა ანგარიშგების ციკლებში წარმოდგენილი კონკრეტული პარამეტრების შერჩევა,** იმის მიხედვით, რა გაინტერესებთ

(ევროპის სოციალური ქარტიის ცალკეული დებულებები, წინა საანგარიშგებო ციკლებში ჩართული ქვეყნები, თუ დასკვნები შეუსაბამობის შესახებ).

- ევროპის სოციალური ქარტიის ვებგვერდზე მოცემულია ინფორმაცია ყველა მიმდინარე საჩივარსა და დასრულებულ წარმოებაზე. ეს მოიცავს ყველა დოკუმენტს, რომლებიც მხარეებმა პროცედურის დროს გააზიარეს თითოეულ საჩივართან დაკავშირებით (შეტანილი საჩივრები, მოსაზრებები, წარდგინებები, მხარეებისა და მესამე მხარეების პასუხები და ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტის გადაწყვეტილებები).

- მეტი ინფორმაცია კოლექტიური საჩივრების პროცედურაზე შეგიძლიათ იხილოთ სოციალურ უფლებათა კომიტეტის წესდებაში (იხ. ნაწილი VIII, წესი 23-40), ან კოლექტიური საჩივრების ვებგვერდზე.

- მეტი ინფორმაცია ანგარიშგების პროცედურის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ სოციალურ უფლებათა კომიტეტის წესდებაში (იხ. ნაწილი VII, წესი 19-22), ან ევროპის საბჭოს ანგარიშგების პროცედურის ვებგვერდზე.

- წინა ეროვნული ანგარიშები და წარდგინებები (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებისა და თანასწორობის ეროვნული ორგანოებისაც) შეგიძლიათ, იხილოთ ევროპის სოციალური ქარტიის ვებგვერდზე, ქვეყნების პროფილების ნაწილში.

რატომ უნდა ითანამშრომლოთ სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტთან?

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები და თანასწორობის ეროვნული ორგანოები, როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურები, ეროვნულ დონეზე იცავენ ადამიანის უფლებებს, მათ შორის, სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს. გამომდინარე მათი ყოველდღიური საქმიანობიდან, ასევე, პირდაპირი კონტაქტიდან სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან (მათ შორის, უფლებათა მფლობელებთან), მათ კარგად იციან ადგილობრივი კონტექსტი და აქვთ ღირებული მონაცემები, რომლებიც შეიძლება სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა გამოიყენოს გადაწყვეტილებებისა და დასკვნების შემუშავებისას.

NHRIs-სა და NEBs-ის შეუძლიათ მათ მიერ მომზადებული მასალების (მონაცემები, მოხსენებები და რეკომენდაციები) გამოყენება, რომლებიც შეიმუშავეს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის (მაგ: წარდგინებები გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვისთვის, ან გაეროს სახელშეკრულებო ორგანოსთვის წარდგენილი ჩრდილოვანი ანგარიშები), რათა სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტს დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ მონიტორინგის ზემოხსენებული ორი პროცედურის ფარგლებში. ამ გზით მათ შეუძლიათ, ქვეყანაში აამაღლონ ცნობიერება ეკონომიკური და სოციალური უფლებების კუთხით არსებულ მდგომარეობაზე, გაასაჯაროონ თავიანთი მუშაობის შედეგები ევროპულ დონეზე და მიაღწიონ უფრო ფართო ზეგავლენას.

მეორე მხრივ, დასკვნებმა, გადაწყვეტილებებმა, განცხადებებმა და მიგნებებმა შემდგომ ღონისძიებებზე, რომლებიც მოჰყვა კომიტეტის მიერ კოლექტიური საჩივრების არსებით მხარეზე მიღებულ გადაწყვეტილებას,

შეიძლება გააძლიეროს ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებისა და თანასწორობის ეროვნული ორგანოების პოლიტიკაზე მიმართული მუშაობა; ასევე, ხელი შეუწყოს სახელმწიფოებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას იმ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო, რომლებიც ნაკისრი აქვთ რატიფიცირებული და იურიდიულად მავალდებულებელი დოკუმენტებით.

ანგარიშგების პროცედურა ორგანიზებულია ყოველწლიური ციკლების სახით და იძლევა შემდგომ ღონისძიებებზე თვალის მიდევნებისა და ახალი დასკვნების მიღების საშუალებას, უფრო ხშირი პერიოდულობით, ვიდრე, მაგალითად, გაეროს სისტემის ფარგლებში. ამრიგად, სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის მონიტორინგი გვთავაზობს ღირებულ ინსტრუმენტს, რომელსაც შეუძლია NHRIs-ისა და NEBs-ის დახმარება, რომ უფრო ქმედითად დაიცვან ადამიანის უფლებები ეკონომიკურ და სოციალურ უფლებათა სფეროში. დასკვნები შეუსაბამობის შესახებ ძალიან მკაფიო და სასარგებლო ინსტრუმენტია ადვოკატირებისთვის და კომიტეტი მათ რეგულარულად აფასებს ხელახლა.

დამატებითი ინფორმაციისა და მითითებებისთვის, დაუკავშირდეთ ევროპის სოციალური ქარტიის სამდივნოს, შემდეგ მისამართზე:

სოციალური უფლებების დეპარტამენტი

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და სამართლის
უზენაესობის გენერალური დირექტორატი

1 quai Jacoutot, F-67075 Strasbourg Cedex

ელფოსტა: social.charter@coe.int

ტელ: +33 (0)3 90 21 55 23

დანართი: ევროპის სოციალური ქარტიის ხელმოწერები და რატიფიკაციები

მხარე სახელმწიფოები		ხელმოწერები	რატიფიკაციები	კოლექტიური საჩივრების პროცედურის მიღება	
ალბანეთი		21/09/1998	14/11/2002		
ანდორა		04/11/2000	12/11/2004		
სომხეთი		18/10/2001	21/01/2004		
ავსტრია		07/05/1999	20/05/2011		
აზერბაიჯანი		18/10/2001	02/09/2004		
ბელგია		03/05/1996	02/03/2004	23/06/2003	
ბოსნია და ჰერცოგოვინა		11/05/2004	07/10/2008		
ბულგარეთი		21/09/1998	07/06/2000	07/06/2000	
ხორვატია		06/11/2009	26/02/2003	26/02/2003	
კვიპროსი		03/05/1996	27/09/2000	06/08/1996	
ჩეხეთის რესპუბლიკა		04/11/2000	03/11/1999	04/04/2012	
დანია	*	03/05/1996	03/03/1965		
ესტონეთი		04/05/1998	11/09/2000		
ფინეთი		03/05/1996	21/06/2002	17/07/1998	X
საფრანგეთი		03/05/1996	07/05/1999	07/05/1999	
საქართველო		30/06/2000	22/08/2005		
გერმანია	*	29/06/2007	29/03/2021		
საბერძნეთი		03/05/1996	18/03/2016	18/06/1998	

უნგრეთი		07/10/2004	20/04/2009		
ისლანდია		04/11/1998	15/01/1976		
ირლანდია		04/11/2000	04/11/2000	04/11/2000	
იტალია		03/05/1996	05/07/1999	03/11/1997	
ლატვია		29/05/2007	26/03/2013		
ლიხტენშტეინი		09/10/1991			
ლიტვა		08/09/1997	29/06/2001		
ლუქსემბურგი*	*	11/02/1998	10/10/1991		
მალტა		27/07/2005	27/07/2005		
მოლდოვას რესპუბლიკა		03/11/1998	08/11/2001		
მონაკო		05/10/2004			
მონტენეგრო		22/03/2005	03/03/2010		
ნიდერლანდები		23/01/2004	03/05/2006	03/05/2006	
ნორვეგია		07/05/2001	07/05/2001	20/03/1997	
ჩრდილოეთ მაკედონია		27/05/2009	06/01/2012		
პოლონეთი		25/10/2005	25/06/1997		
პორტუგალია		03/05/1996	30/05/2002	20/03/1998	
რუმინეთი		14/05/1997	07/05/1999		
სან მარინო		18/10/2001			
სერბეთი		22/03/2005	14/09/2009		
სლოვაკეთის რესპუბლიკა		18/11/1999	23/04/2009		
სლოვენია		11/10/1997	07/05/1999	07/05/1999	
ესპანეთი		23/10/2000	17/05/2021	17/05/2021	
შვედეთი		03/05/1996	29/05/1998	29/05/1998	
შვეიცარია		06/05/1976			
თურქეთი		06/10/2004	27/06/2007		
უკრაინა		07/05/1999	21/12/2006		
გაერთიანებული სამეფო	*	07/11/1997	11/07/1962		
სახელმწიფოების რაოდენობა	46	2 + 44 = 46	7 + 35 = 42	16	

მსხვილი შრიფტით წარმოდგენილია 1961 წლის ქარტიის ხელმოწერის ან რატიფიცირების თარიღები; სხვა თარიღები აღნიშნავს 1996 წლის შესწორებული ქარტიის ხელმოწერას ან რატიფიცირებას.

* სახელმწიფოები, რომელთა მხრიდან რატიფიცირებაც აუცილებელია 1991 წლის ოქმის (რომლითაც შესწორებები შევიდა ქარტიაში) ძალაში შესვლისთვის. მინისტრთა კომიტეტის 1991 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, ეს ოქმი უკვე გამოიყენება პრაქტიკაში.

X სახელმწიფო, რომელმაც აღიარა ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციების უფლება, წარადგინოს კოლექტიური საჩივრები მის წინააღმდეგ.

ეს ცხრილი რეგულარულად განახლდება ქარტიის ვებგვერდზე: www.coe.int/socialcharter

ევროპის სოციალური ქარტია მიღებულია 1961 წელს და შესწორდა 1996 წელს. ეს დოკუმენტი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ანალოგია ეკონომიკურ და სოციალურ უფლებათა სფეროში. ქარტიით გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ფართო სპექტრი, რომლებიც შეეხება დასაქმებას, საცხოვრებლით უზრუნველყოფას, ჯანდაცვას, განათლებას, სოციალურ დაცვასა და კეთილდღეობას.

პანევროპულ დონეზე არცერთი სამართლებრივი ინსტრუმენტი არ იცავს სოციალურ უფლებებს ისე ფართოდ და სრულფასოვნად, როგორც სოციალური ქარტია. შესაბამისად, იგი აღიქმება ევროპის სოციალურ კონსტიტუციად და ადამიანის უფლებათა სტრუქტურის არსებითი ნაწილია კონტინენტზე.

www.coe.int/socialcharter

@social_charter

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაციაა კონტინენტზე. იგი შედგება 46 წევრი სახელმწიფოსგან, რომელთა შორისაც არის ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს წევრმა ყველა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას – ხელშეკრულებას, რომლის ძირითადი მიზანია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის დაცვა. კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში ზედამხედველობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

European Social Charter | Charte sociale européenne

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE